

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აცხადებს ვაკანსიას

აკადემიური პოზიციის დასაკავებლად

1. კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებით:

1.1. **ადამიანისა და ცხოველის ფიზიოლოგია - პროფესორი.**

1.2. **პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევა განხორციელდება 4 წლის ვადით.**

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **ადამიანისა და ცხოველის ფიზიოლოგია** – მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო – პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 7 წლის გამოცდილება, ასევე:

- ადამიანისა და ცხოველის ფიზიოლოგიის მიმართულებით კვლევებში თეორიული და პრაქტიკული მუშაობის მინიმუმ 7 წლიანი გამოცდილება;
- ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებულ კვლევებში მონაწილეობა ან/და გამოქვეყნებული პუბლიკაციები;
- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა;

უპირატესობა მიენიჭება:

- უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას;

3. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით, განხორციელებული პროექტებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

4. განცხადებების მიღების ვადად განისაზღვროს **2020 წლის 14 თებერვლიდან - 2020 წლის 17 თებერვლის ჩათვლით;**

5. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

- 5.1. ბიოგრაფია (CV) ;
- 5.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი) ;
- 5.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
- 5.4. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- 5.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;
- 5.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

6. დოკუმენტაციის მიიღება განხორციელდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი - <https://form.jotform.me/51883287044461>

7. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.

8. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2020 წლის 18 თებერვლიდან - 2020 წლის 23 თებერვლის ჩათვლით**, ხოლო გასაუბრება/ საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან გაიმართება **2020 წლის 24 თებერვლიდან - 2020 წლის 27 თებერვლის ჩათვლით**.

9. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე.

10. საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: 0131, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი 240, კახა ბენდუქიძის კამპუსი

ვებ-გვერდი: www.freeuni.edu.ge

ელ.მისამართი: vacancy@freeuni.edu.ge